ახალი გურიელი

„მეფენიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

14 - 27 აგვისტო 2015 წელი №15 №8097 ელფოსტა : axaligantiadi@gmail.com.

კასპის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები მხარის გუბერნატორმა ზურაბ რუსიშვილმა დაათვალიერა

გვ2.

ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი – 2015„

გვ2.

რობინზონიადა

გვ2.

84-ე წელია ჩვენი გაბედული იწერს, ვგრიოვებს, იბეჭდავს რეალობას იცცოცხლებს, ხანდაც ვინ იცის ყვითელ ფრიცვებს, ჟამნის ჩვენი ცხოვრებისა შეიყოვმაბებელ მეცნიერნეს ... გამოიწერეთ "ახალი გაზეთიადი" და გახლით ჩვენი მეგობარი

გვ7.

ქვეყნის ჭალის თემის სოფელ გორაკაში სასმელი წყლის სისტემა აღდგენილია

გვ3.

სოციალურად დაუცველი ოჯახების შეფასების ახალი მეთოდოლოგია

გვ5.

სოციალური დახმარების მიღებამდე უნდა ვიცოდეთ. რომ პროგრამის მიხედვით ...

პროექტი განხორციელდა რეგიონების განვითარების ფონდის დაფინანსებით

გვ3.



ბაზრის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო

გვ6.

„ახალი გაზეთიადი„ იძიებს ცვინცერნიცლი ცოცხალებს რეალობის ცვგვზეთი ფოტო-მეცნიერნის შეცვამ-ნელოვლ. თხოვნით მივმართავთ თანამოაზრეებს - ლაფოვეთ თქვენი ყველა ჩვენს მეცნიერებაში! გამოგვიგ-ზავნეთ ცვინცერნილი და ცხალოლი ფოტოები!



წითელი ჯვრის დახმარებით

გვ3.

დასვენება

გვ7.



სამყაროს მეორე მხარეს

ანუ თქვენ გინდათ ზღვაზე?

გვ7.

კასპის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები მხარის გუბერნატორმა ზურაბ რუსიშვილმა დაათვალიერა

კასპში ახალი სპორტული კომპლექსის მშენებლობა მიმდინარეობს, რომელიც 2016 წელს დასრულდება და რის შემდეგაც კასპის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ისარგებლებს ახალი, თანამედროვე სტანდარტებითა და სპორტული ინვენტარით აღჭურვილი სპორტული კომპლექსით. კომპლექსის მშენებლობის პროცესი კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელთან და მოადგილესთან ერთად დაათვალიერა შიდა ქართლის გუბერნატორმა ზურაბ რუსიშვილმა.

პროექტით გათვალისწინებულია წრიული საჭიდაო დარბაზის, ფიტნესისა და კალათბურთის დარბაზების მოწყობა და ცენტრალური გათბობის სისტემის დამონტაჟება, ასევე მოხდება ძველი სასტუმროს შენობის რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულება შეადგენს 1 598 732 ლარს, რომელიც ხორციელდება სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის და კასპის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით. სამუშაოებს ახორციელებს შპს „ბლოკჯორჯია".

✦ საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოები კასპის მუნიციპალიტეტში

კასპის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ახალქალაქი-რკონის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტით გათვალისწინებულია 3 750 გრ/მეტრზე ასფალტის საფარის და ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა, რომლის ღირებულებაც შეადგენს 2 478 000 ლარს. აღნიშნული გზა აკავშირებს სამ სოფელს (ახალქალაქი, გარიყულა, ერთაწმინდა), რომლითაც ისარგებლებს 2760 ადგილობრივი მცხოვრები. სამუშაოების მიმდინარეობის პროცესს ადგილზე გაეცნენ შიდა ქართლის მხარის გუბერნატორი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი და მისი მოადგილე. პროექტი დაფინანსებულია მსოფლიო ბანკის მიერ, რომელიც ხორციელდება საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს გზების დეპარტამენტის მიერ.

✦ კასპის მუნიციპალიტეტში ახალი საწარმოს მშენებლობა მიმდინარეობს

კასპში ახალი ბიოსასუქის საწარმოს მშენებლობის პროცესი მიმდინარეობს, რომელსაც ახორციელებს შპს "ჯიოფარტი," მშენებლობა დაიწყო ა/წ აპრილში და დასრულება დაგეგმილია 2016 წლის აპრილში, ამჟამად მშენებლობის პროცესში დასაქმებულია 20 ადგილობრივი, ხოლო საწარმოს ამუშავების შემდეგ დასაქმდება 50-დან 100-მდე ადგილობრივი. მშენებლობის პროცესს ადგილზე გაეცნო მხარის გუბერნატორი კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელთან და მის მოადგილესთან ერთად.

შპს ,,ჯიოფარტის" წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საწარმო დღეში დახლოებით 200 ტონა სასუქის გამოშვებას აპირებს, წარმოებული იქნება ასევე თხევადი სასუქიც (შეწამვლის მეთოდი) რომელიც მცენარეს სტრესული სიტუაციისგან დაიცავს. აღნიშნული სასუქების მოხმარებით შესაძლებელი იქნება ბიოპროდუქტის წარმოების ხელშეწყობა. ბიოსასუქზე მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ევროპაში მზარდი მოთხოვნილებაა, გამომდინარე აქედან გამოშვებული პროდუქცია ძირითადად გავა ექსპორტზე.

კასპში საწარმოს აშენება სოფელ ზემო ხანდაკში არსებულმა ცეოლითის ბუნებრივმა საბადომ

*დასასრული მე-3 გვ.

ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის "თბილისი – 2015"-ის მესამე საშეჯიბრო დღეს, 29 ივლისს, ამ ჭაბუკმა ოქროს სინჯის მედალს ქართული მისამართი გამოუწერა. უმალ თანამემამულეთა თვალში ამაღლდა, მათი კერპი შეიქნა, მთელ ქვეყანას უზომო სიხარული მოუტანა და შეახსენა, რომ საქართველოს კვლავაც ეზრდებიან ჭაბუკნი, ვინც მშობელ ქვეყანას მომავალში მოუტანს გამარჯვებებს.

ამ ჭაბუკს რობინზონ ბეგლარაშვილი ჰქვია!

დიახ, ოქროსმედალოსანმა რობინზონმა საკუთარი მხედველობის ორგანოს დაზიანების, ანუ ჯანმრთელობის რისკის, ფასად საფინალო კეთილშობილი ლითონი იტალიელ ლომბარდოს არ დაუთმო, ქართული ელვარება მიაკუთვნა.

რობინზონი კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ დოესში ცხოვრობს. იგი საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლეა, 17 წელი 2015 წლის 6 აპრილს შეუსრულდა.

საევროპო მასშტაბის წარმატებას ვუ-ლოცავთ ოქროს რობინზონსა და ჭაბუკის პირად მწვრთნელს, ჯემალ ხორბალაძეს – ახლო წარსულში თავადაც ცნობილ მოჭიდავეს, აწ კი წარმატებულ მწვრთნელს, ვინც მშობლიური სოფლის სანახებში მიგნებულ ათობით პერსპექტიულ მოზარდს, იქაურ გოგო-ბიჭებს აოსტატებს და აფრთიანებს, როგორც არწივი თავის მართვეებს!

გამოცდილი მწვრთნელის თვალთახედვის არეში ყმაწვილი რობინზონი 6 წლის ასაკში მოხვდა, როცა მან ერთდროულად შეაღო დოესის სკოლის პირველი კლასისა და საჭიდაო სექციის დარბაზის კარი. აგერ, 10 წელზე მეტია, ერთად იღვწიან ოსტატი და შეგირდი, მზადებისა და წვრთნის შემდგომი ეტაპი გორის საჭიდაო სკოლაზე გადის, სადაც ძმები თენაძეებისა და სხვა კვალიფიციური მწვრთნელების თანადგომა აუცილებელია პერსპექტიული ძიუდოისტისათვის; აი, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში კი ირაკლი ცირეკიძის, თამაზ კარიაულისა და მინდია ბოდაველის ყურადღებითა და მზრუნველობით არის გარემოსილი.

რობინზონიადა

*** ამონარიდი გაზეთ "ლელოს" 2015 წლის 30 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული წერილიდან:

"ბეგლარაშვილმა კარგად დაიწყო ასპარეზობა და ნახევარფინალში უპრობლემოდ, ზედმეტი დაძაბვის გარეშე გავიდა. მისი გამოსვლა დამაჯერებელი იყო, ტექნიკურად და ოსტატურად

ჭიდაობდა. მან სომეხი ტიგრან ბადალიანი ბრუნით დააიპონა და ნაკლები დღე არც აზერბაიჯანელ ისმაილ იბრაჰიმოვს აყარა, ისიც ბეჭებზე დააგდო...

ნახევარფინალში ბეგლარაშვილი კვლავ მოწოდების სიმაღლეზე იდგა და ჰოლანდიელი ლანს კამპხუისი ვაზარზე გაისროლა და იქვე შებოჭა...

ფინალიც ძველებური შემართებით ჩაატარა. ქართველის მეტოქე იტალიელი მანუელ ლომბარდო იყო, ევროპის წლევანდელი ჩემპიონი. ბეგლარაშვილმა მას ორი წლის წინ ასევე ჭაბუკთა ევროპირველობაზე აჯობა და ტრადიცია ახლაც გააგრძელა – მშვიდად აუღო ვაზარი და შეხვედრა უმტკივნეულოდ მიიყვანა გამარჯვებამდე"...

... არა, თურმე, უმტკივნეულოდ არა, სწორედაც რომ დიდი ფიზიკური ტკივილის ხარჯზე! უზომო ოფლისღვრის ხარჯზე! დიდი გარჯილობის ხარჯზე!

*** ჯემალ ხორბალაძეს მტკიცედ სჯერა და სწამს, რომ მალე საქართველოშიცა და მის გარეთაც გაიცნობენ დოესელი ჭაბუკებისა და ქალიშვილების, ანუ ახალგამარჯვებულთა, სახელებს: აი, ისინიც – სულიკო ახალკაცი, შალვა და დათა უხურგუნაშვილები, გიგა ხორგუაშვილი, ეკა რაზმაძე, ტრისტან ხარატიშვილი, ლევან უხურგუნაშვილი, გიგა ხორბალაძე, გიორგი ხორგუაშვილი, თემურ ხორბალაძე, ჯუმბერ თაბუაშვილი, ვანო ბეგლარაშვილი...

მოდით, ჩვენც დავიმახსოვროთ ამ ახალგაზრდების ვინაობა!

*** რობინზონ ბეგლარაშვილი 2 აგვისტოს ბოსნიაში გაემგზავრა მსოფლიო ჭაბუკთა პირველობაზე საასპარეზოდ... ფაქტიურად, თბილისური წარმატებული გამოსვლის შემდეგ მას შესვენებისა და ძალების აღდგენისათვის საკმარისი დრო არ ჰქონდა, რამაც ქ. სარაევოს ტატამზე იჩინა თავი: 6 აგვისტოს რობინზონი ნახევარფინალურ შეხვედრამდე კი მივიდა, მაგრამ აქ ბრაზილიელი მეტოქის წინაღობა ვეღარ დაძლია... ბრინჯაოს მედლისათვის ორთაბრძოლაში აზერბაიჯანელი მოწინააღმდეგე 10 წამში დააიპონა და, ამრიგად, მე-3 ადგილი ირგუნა.

ვიმედოვნებთ, დოესელი ჭაბუკი კვლავაც არაერთხელ ასახელებს მშობლიურ სოფელს, ამაგს დაუფასებს მწვრთნელებს, გაახარებს ქართველ გულშემატკივარს.

ამირან ტალახაძე.

ქვემო ჭალის თემის სოფელ გორაკაში სასმელი წყლის სისტემა აღდგენილია

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა სოფელ გორაკაში სასმელი წყლის სისტემა დაათვალიერა.

2015 წლის ივლისში NEO-ს პროექტის ფარგლებში კასპის მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით დასრულდა ქვემოჭალის თემის სოფელ გორაკაში სასმელი წყლით მომარაგების სისტემის რეაბილიტაცია, რომელიც განხორციელდა სამშენებლო კომპანია შპს "კვადრაგრუპი"-ს მიერ. სარეაბილიტაციო ობიექტი მოიცავდა სოფლისათვის წყალამღების, ცენტრალური მაგისტრალის, საუბნო ონკანის, 23 ოჯახისათვის შიდადაქსელვას და ბიონათურის შენობის მოწყობას.

მოსახლეობა სასმელი წყლის მიღებით კმაყოფილია. მათ მადლობა გადაუხადეს NEO-ს, შპს "კვადრაგრუპ"-ს და გოჩა გოჩიტაშვილს. როგორც მათ განაცხადეს დღემდე სასმელი წყალი მათთვის პრობლემას წარმოადგენდა.

ცნობისათვის: აშშ საერთაშორისო განვითარების საგენტოს მიერ დაფინანსებული ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ინიციატივა (NEO) არის ოთხწლიანი პროგრამა, რომლის მიზანია სოფლის მოსახლეობის შემოსავლის ზრდა, სიღარიბის დონის შემცირება, სასურსათო უსაფრთხოება, მცირემასშტაბიანი ეკონომიკური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია შერჩეულ თემებში, იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება მათი საცხოვრებლის მოვლა-პატრონობის მიზნით და დახმარების გაწევა იმ თემებისათვის, რომლებიც დაზარალდნენ სტიქიური ან სხვა მოვლენების შედეგად. NEOს ადგილობრივი ეკონომიკური დაგეგმვის კომპონენტის ფარგლებში, რომლის მიზანია დახმარება გაუწიოს შერჩეულ თემებს მათი ეკონომიკური განვითარების გეგმების შემუშავებაში და შერჩეული პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებაში.

პროექტი განხორციელდა რეგიონების განვითარების ფონდის დაფინანსებით

სოფელ თეზის გზის მოასფალტება დასრულდა, კასპის მუნიციპალიტეტის ოკამი-ლამისყანა-თეზის, თბილისი-სენაკი-ლესელიძის ჩქაროსნულ მაგისტრალთან შემაერთებელი გზების სრული რეაბილიტაციის ეტაპი, რომელიც სოფელ თეზის საავტომობილო გზის ასფალტბეტონის საფარის დაგებას და კიუვეტების მოწყობას ითვალისწინებდა. პროექტი განხორციელდა რეგიონების განვითარების ფონდის დაფინანსებით. სამუშაოებს შპს "ბლექსი გრუპი" აწარმოებდა.

მოსახლეობა კმაყოფილია კეთილმოწყობილი, მოასფალტებული ახალი გზით.

სოფლებში გზის მოასფალტების სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც 2016 წელსაც გაგრძელდება - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა.

წითელი ჯვრის დახმარებით

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, რომლის განსაკუთრებული ჰუმანიტარული მისიაა დაიცვას შეიარაღებული კონფლიქტების და სხვა ძალადობის მსხვერპლთა სიცოცხლე, ღირსება და გაუწიოს დახმარება - სოფელ თვაურების მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდების სამუშაოებს აწარმოებს. აღნიშნულთან დაკავშირებით წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტსა და კასპის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებულია მემორანდუმი.

თვაურები გამყოფი ხაზისპირა სოფელია და იქ 200 მოსახლე ცხოვრობს. დაგეგმილია წყაროს წყლის შემკრების და რეზერვუარის მოწყობა, დაქსელვა და სამი საუბნო ონკანის მოწყობა.

სამუშაოების დაწყებამდე ყველა ტექნიკური კვლევები შესრულდა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ინჟინრების მიერ. სამუშაოები დასრულდება 2015 წლის 9 სექტემბერს.

კასპის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები მხარის გუბერნატორმა ზურაბ რუსიშვილმა დაათვალიერა

***დასასრული**

მპანიას აღებული აქვს 20 წლიანი ლიცენზია

✦ კასპში მიმდინარეობს გზისა და სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია.

კასპის წყალმომარაგების უზრუნველყოფისათვის, სოფელ სამთავისიდან მომავალი ფოლადის მაგისტრალისა და სოფელ მრგვალი ჭალიდან მომავალი აზბოცემენტის მაგისტრალის შეცვლის სამუშაოები მიმდინარეობს, პროექტით გათვალისწინებულია ცენტრალური მაგისტრალის 6 000 გრ/მეტრამდე მილის ამოცვლა. მშენებლობის პროცესის მიმდინარეობა დაათვალიერა შიდა ქართლის გუბერნატორმა ზურაბ რუსიშვილმა, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელთან და მის მოადგილესთან ერთად. პროექტი ხორციელდება შპს "გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" დაფინანსებით, რომლის ღირებულება შეადგენს 1 899 970 ლარს. სამუშაოების დასრულების შემდეგ კასპის მოსახლეობას გაუუმჯობესდება სასმელი წყლის მიწოდება.

გუბერნატორმა ასევე მოინახულა იგოეთი-კასპი-ახალქალაქის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-63) საავტომობილო გზის კმ1-კმ 6.5 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტს ახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს გზების დეპარტამენტი, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 4 555 000 ლარს, ჯამში დაიგება 6.5 კმ გზა და ასევე მოეწყობა ბეტონის სანიაღვრე არხები.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

გამოიწერეთ "ახალი გზა" გახლით ჩვენი მკითხველი!

გინდათ, გაეცნოთ საინტერესო, საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებიდან?

გინდათ, გაიგოთ ეროსტავთა მოსაზრებები საქართველოს ცხოვრების პერსპექტივაზე?

გინდათ თვალი ადევნოთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს?



შვიდი წელი ვგვიძღვის ომიდან

იმ ავად სახსენებელი "ხუთდღიანი ომიდან" უკვე შვიდი წელი გავიდა. ამ ომმა საქართველოს

404 მოქალაქე, აქედან 180 სამხედრო, 224 სამოქალაქო პირი შეიწირა. საქართველომ დაკარგა ძირძველი ტერიტორიები... რუსეთის

იმდროინდელმა პრეზიდენტმა მედვედევმა 2008 წლის 26 აგვისტოს "სამხრეთ ოსეთისა" და აფხაზეთის დამოუკიდებლობა ცნო. საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი ამ დრომდე დაკარგულია, მცოცავი ანექსია დღესაც გრძელდება.

რუსი ოკუპანტების მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს ღამის პირველ საათსა და ოც წუთზე დაიბომბა ქალაქი კასპიც... დაბომბვის შედეგად დაზიანდა მდინარე ლეხურაზე გადასასვლელი ხიდი, *ელექტროგადამცემი* ხაზი, სატელეფონო კომუნიკაციები და ბუნებრივი აირის ცენტრალური მაგისტრალი, დაბომბვას შეეწირა კასპელი მურაზ მერებაშვილი.

რუსეთ-საქართველოს ომის 7 წლისთავთან დაკავშირებით შაბათს, 8 აგვისტოს, დღის 11 საათზე კასპის ცენტრში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ გმირთა მემორიალთან შეიკრიბნენ ჩვენი ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლები, ომისა და შრომის ვეტერანები, ახალგაზრდები, რომლებმაც პატივი მიაგეს ომში დაღუპულ მეომრებს, მათი სულების მოსახსენიებლად ჩატარდა პარაკლისი.

სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მეომრების ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში გაგრძელდა.

გამოფენაზე წარმოდგენილი ომის საშინელი დღეების ამსახველი ფოტო-მასალა, სტენდი, რომელიც სპეციალურად ამ დღისათვის მოამზადეს მუზეუმის მუშაკებმა, ინტერესით დაათვალიერეს სტუმრებმა, რომელთა შორის იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ილია ზაქარიაძე, სამთავისი-კასპის ეპარქიის ეპისკოპოსი მამა დამიანე, წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის კასპის საკათედრო ტაძრის მოძღვარი მამა გიორგი.

შეკრებილებმა გაიხსენეს ჩვენი ქვეყნის უახლოეს ისტორიაში გადატანილი ომის მძიმე დღეები, პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას.

სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა შორის კოდისწყაროელები და არა მხოლოდ ისინი სიამაყით ასახელებენ გულანთებულ მამულიშვილს გელა თიგიშვილს, რომელიც თავგანწირვით იბრძოდა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში.

უფროსი სერჟანტი გელა თიგიშვილი 2006 წლიდან მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, დაჯილდოებულია მედლით "სამშობლოსათვის თავდადებული," მიღებული აქვს ვახტანგ გორგასლის ორდენი.

აგვისტოს ომში, სამაჩაბლოში უგზოუკვლოდ დაკარგული მეომრის ცხედარი მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ, 2012 წლის ზაფხულში დაკრძალეს მშობლიურ კოდისწყაროში. მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად კასპის მუნიციპალიტეტისა და საკრებულოს ორგანიზებით აგვისტოს ომის შვიდი წლისთავზე, კოდისწყაროში, სოფლის ცენტრში არსებულ დაღუპულთა მემორიალთან გელა თიგიშვილის ბიუსტი (მოქანდაკე ჯემალ თუშურაშვილი) გაიხსნა.

ბიუსტის გახსნის ცერემონიალს ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები, პრესისა და ტელევიზიის, წითელი ჯვრის წარმომადგენლები, სოფლის აქტივის წევრები, დაღუპულის ძმები, დედა, ოჯახის ახლობლები.

— მრავალთა შორის გელა თიგიშვილი ერთ-ერთი მათგანია, ვინც გმირულად იბრძოდა ჩვენი ქვეყნის ერთიანობისათვის — განაცხადა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა, — იგი იმყოფებოდა სამშვიდობო მისიით კოსოვოში, 36 წლის ახალგაზრდა კაცი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლას შეეწირა და სამარადისოდ დარჩა

ქვეყნის მატიანეში, როგორც სამშობლოს ღირსეული შვილი, უშიშარი დამცველი, ადამიანი ვისთვისაც

მამული სიცოცხლეზე მნიშვნელოვანია.

ბიუსტის გახსნის შემდეგ გელა თიგიშვილის საფლავზე ჩატარდა მისი სულის მოსახსენიებელი პარაკლისი. ოჯახმა, ახლობლებმა, სოფლის აქტივის წევრებმა მადლიერება გამოხატეს ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ და აღნიშნეს, რომ ბიუსტის გახსნამ განსაკუთრებული დატვირთვა შესძინა სოფლის ცხოვრებას.

კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

სოციალურად დაუცველი ოჯახების შეფასების ახალი მეთოდოლოგია

მიმდინარე წლის პირველი მაისიდან ქვეყანაში მოქმედებს სოციალურად დაუცველი ოჯახების შინა მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ახალი მეთოდოლოგია. ამასთან დაკავშირებით, თუ რა კრიტერიუმით განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების საარსებო შემწეობის ოდენობა, რა პრინციპით ხორციელდება სარეიტინგო ქულის დადგენა, მონაცემთა ბაზის დადგენა და კიდევ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარს აკეთებს სოციალური მომსახურების სააგენტოს კასპის რაიონული განყოფილების უფროსი მარინა მეტრეველი.

სოციალურად დაუცველი ოჯახების საარსებო შემწეობის ოდენობა ეფუძნება ოჯახის წევრთა რაოდენობასა და მინიჭებული სარეიტინგო ქულის სიდიდეს. "სოციალურად დაუცველი ოჯახების / შინა მეურნეობის/ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის (№758) დადგენილებით დამტკიცებული მეთოდოლოგიის ფარგლებში შეფასებულ /შესწავლილ/ ოჯახებზე საარსებო შემწეობის ოდენობა განისაზღვრა შემდეგი პუნქტების მიხედვით:

ოჯახის, რომლის სარეიტინგო ქულა 30001 – ზე ნაკლებია, შემწეობა ოჯახის ყველა წევრზე განისაზღვრა 60 ლარით;

ოჯახის, რომლის სარეიტინგო ქულა 30001 და მეტია, მაგრამ ნაკლებია 57001 ქულაზე, შემწეობა განისაზღვრა 50 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

ოჯახის, რომლის სარეიტინგო ქულა 57001 და მეტია, მაგრამ ნაკლებია 60001 ქულაზე – განისაზღვრა 40 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

ოჯახის, რომლის სარეიტინგო ქულა 60001 და მეტია, მაგრამ ნაკლებია 65001 ქულაზე შემწეობა განისაზღვრა 30 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

ოჯახის, რომლის სარეიტინგო ქულა 100001-ზე ნაკლებია განისაზღვრა 10 ლარით, ოჯახის თითოეულ 16 წლამდე ასაკის წევრზე.

ოჯახის დეკლარაციიდან ამოღებულია მუშა მდგომარეობაში მყოფი ხანგრძლივი მოხმარების საგნები: მაცივარი, სარეცხის მანქანა, გაზქურა, პლაზმური ტელევიზორი და სხვა. ოჯახის დეკლარაციაში ფიზიკური მდგომარეობის გრაფის მონიშვნისას "სიცოცხლისათვის საშიში დაავადების სამკურნალოდ საჭიროებს პერმანენტულ მედიკამენტოზურ - ამბულატორიულ მკურნალობას" ოჯახმა უნდა წარმოადგინოს სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტ(ებ)ი: ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა ნომერი 1V – 100/ა, რომლებშიც მითითებულია: სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ინსტრუქციის მე-11 მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული რომელიმე დაავადება. თუ დეკლარაციის შევსების თარიღიდან 90 დღის განმავლობაში ოჯახი ტერიტორიულ ერთეულში წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტს (ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა ნომერი IV-100/ა), სადაც მითითებული იქნება ამ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული რომელიმე დაავადება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განხორციელდება "სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" მონაცემების კორექტირება და სარეიტინგო ქულის გადათვლა არსებული წესით. თუ შესაბამისი დოკუმენტი წარმოდგენილი იქნება დეკლარაციის შევსების თარიღიდან 90 დღის გასვლის შემდეგ, დადგენილი წესით განხორციელდება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებით შეფასება.

ამდენად, ოჯახი ვალდებულია, რომ უფლებამოსილ პირს მიაწოდოს მაქსიმალურად სწორი და ამომწურავი ინფორმაცია ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, დაუყოვნებლივ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში აცნობოს სააგენტოს ოჯახში მომხდარი სოციალურ-ეკონომიკური ან დემოგრაფიული ცვლილების შესახებ.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის შემთხვევაში მოქალაქემ უნდა აცნობოს სააგენტოს ოჯახის წევრის სამ თვეზე მეტი ვადით საზღვრის კვეთის თაობაზე, სამთვიანი ვადის ამოწურვის დღიდან, არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში. ესე იგი, ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის შეუტყობინებლობის შემთხვევაში, ოჯახი კარგავს უფლებას მომდევნო ერთი წლის განმავლობაში განმეორებით მოითხოვოს რეგისტრაცია მონაცემთა ბაზაში, ამასთანავე, თუ სააგენტო დაადგენს, რომ ყალბი ინფორმაციის მოწოდების ან სხვა ნაკისრი ვალდებულების შეუტყობინებლობის შედეგად ოჯახმა მიიღო საარსებო შემწეობა, გადარიცხული თანხები ექვემდებარება დაბრუნებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ ოჯახი ხელოვნურად არის გაერთიანებული (ან დაყოფილი) და სააგენტოს უფლებამოსილი პირი დარწმუნებულია ოჯახის ხელოვნურად დაყოფის ან გაერთიანების საკითხში, რასაც მოწმობს ოჯახის საცხოვრებელი პირობები, ოჯახის თანხმობის შემთხვევაში, ივსება ოჯახის დეკლარაცია ამ ცვლილებების გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ივსება შეწყვეტის ოქმის შესაბამისი პუნქტ(ებ)ი და ოჯახს ერთი წლის განმავლობაში ეკრძალება ხელახალი რეგისტრაციის მიზნით მიმართოს სააგენტოს.

განმარტება მკითხველს

სოციალური დახმარების მიღებამდე უნდა ვიცოდეთ, რომ პროგრამის მიხედვით ...

ოჯახი არის განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (საცხოვრებელი ადგილის ერთობლივი გამოყენება, მისი მოვლა-პატრონობა, ოჯახისათვის საჭირო საარსებო საშუალებების მოპოვება და ამ საშუალებების – ფული, პროდუქტები, ტანსაცმელი და სხვა ოჯახის საკეთილდღეოდ განკარგვა-განაწილება).

ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისათვის დეკლარაციაში მოცემულ კითხვებს პასუხი უნდა გაეცეს სრულყოფილად. დეკლარაციის შევსებაზე უარის შემთხვევაში, ოჯახის განაცხადი გაუქმდება სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და ოჯახი კარგავს უფლებას მომდევნო ერთი წლის განმავლობაში მიმართოს სააგენტოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მიზნით.

ოჯახის დეკლარირებული ინფორმაცია ექვემდებარება გადამოწმებას და არასწორი ინფორმაციის აღმოჩენის შემთხვევაში, განაცხადი გაუქმდება სააგენტოს მონაცემთა ბაზაში. ოჯახი ვალდებულია, ოჯახში მომხდარი ცვლილებები (ოჯახის წევრის გარდაცვალება; ოჯახის წევრის დამატება; ოჯახის წევრის გამოკლება (გასვლა); მისამართის ცვლილება; შემოსავლების მატება/კლება; უძრავი ქონების (ბინა, სახლი, აგარაკი, მიწის ნაკვეთი, კომერციული ფართი) ან მოძრავი ქონების შეძენა; სახელმწიფო საზღვრის სამ თვეზე მეტი ვადით კვეთა) ამ ცვლილებებიდან ერთი თვის ვადაში შეატყობინოს სააგენტოს.

ზემოაღნიშნულის შეუტყობინებლობის შემთხვევაში, ოჯახი კარგავს უფლებას მომდევნო ერთი წლის განმავლობაში განმეორებით მოითხოვოს მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია. ამასთან, თუ სააგენტო დაადგენს, რომ ყალბი ინფორმაციის მოწოდების ან სხვა ნაკისრი ვალდებულებების შეუტყობინებლობის შედეგად, ოჯახმა მიიღო საარსებო შემწეობა, გადარიცხული თანხები ექვემდებარება დაბრუნებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციისას ან სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შეფასების განაცხადის შევსებისას ოჯახის მოვალეობაა მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მიზნით, დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში (დილის 8:00 საათიდან საღამოს 10:00 საათამდე) დაუბრკოლებლად შეუშვას სააგენტოს უფლებამოსილი პირი საცხოვრებელ ბინაში, მისცეს მას საშუალება სრულად დაათვალიეროს ოჯახის მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართობი, საერთო სარგებლობის სათავსოები, შეამოწმოს ყოფითი პირობები;

ობიექტური პასუხები გასცეს უფლებამოსილი პირის შეკითხვებს და არ დაამახინჯოს ფაქტები, მოთხოვნისამებრ, წარადგინოს საჭირო დოკუმენტები, ხელი მოაწეროს გამოკითხვის შედეგად შევსებულ დოკუმენტს, განსხვავებული აზრის არსებობისას დააფიქსიროს საკუთარი შენიშვნები;

სააგენტომ ნებისმიერი წყაროდან მოიპოვოს საჭირო ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება ოჯახის ან მისი ცალკეული წევრ(ებ)ის იდენტიფიკაციას, ფინანსურ და ქონებრივ მდგომარეობას, პერსონალურ და სხვა მონაცემებს მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მიზნებისთვის;

მიეცეთ ოჯახის შესახებ არსებული ინფორმაცია სხვა სოციალური დახმარების დამნიშვნელ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რაც მიმართული იქნება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ;

სოციალური დახმარების დანიშვნის ან სახელმწიფოს მიერ დადგენილი სხვა შეღავათებით სარგებლობის უფლების მოპოვების შემთხვევაში, ოჯახის მიერ სოციალური დახმარების (შეღავათის ან სხვა სახის სარგებლის) მიღების თაობაზე ინფორმაცია გახდეს საჯარო.

ოჯახს უფლება აქვს:

გაეცნოს მონაცემთა ბაზაში მის შესახებ არსებულ ინფორმაციას;

მოითხოვოს მის შესახებ არსებულ მონაცემებში ცვლილებების (შესწორებების) შეტანა;

მოითხოვოს ამონაწერი მონაცემთა ბაზიდან;

გაასაჩივროს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შედეგები;

ისარგებლოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

გვენდეთ ჩვენო მკითხველო!

ბაზრის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო

ქალაქ კასპში, ბაზრის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის წინა, მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო. დაგეგმილია საფეხმავლო ბილიკების, ბორდიურებისა და ავტოსადგომის მოწყობა.

ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "საგზაო სამშენებლო სამმართველო №1" აწარმოებს. სამუშაოების ღირებულება სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება №132-ის თანახმად 128 770 ლარია.

ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარება ჩვენი პრიორიტეტია. აღნიშნული ტერიტორია ქალაქის ცენტრში მდებარეობს, სადაც მუდმივი ხალხმრავლობაა. ადგილობრივების გარდა ბევრი სტუმარი მოძრაობს სხვადასხვა მიმართულებით, რასაც საკოლმეურნეო ბაზრის ადგილმდებარეობაც განაპირობებს. ამიტომ ავტოსადგომის და ქალაქის ცენტრის კეთილმოწყობა მნიშვნელოვნად მიგვაჩნია - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა.

სპორტული ზაფხულის ქრონიკები

გიორგი (გორკა) მერებაშვილის ცხოვრობის, ტრადიციული ...

მათ ცხოვრებაში მომხდარი "ბრმა" შემთხვევები და ტრაგიკული ბედისწერა რომ არა, არავინ უწყის, სპორტულ კარიერაში ოლიმპოს რომელ მწვერვალებს დაიპყრობდნენ კასპელი ჭაბუკები გიორგი მერებაშვილი, შოთიკო მარქარაშვილი, მამუკა ბარამიძე, სამთავისელი ვანო გამხიტაშვილი, ქვემოჭალელები სოსო პავლიაშვილი, ბესიკ ოთარაშვილი, ლამისყანელი ლევან ბეინაშვილი, ქვემოგომელი შოთა კაციაშვილი, მეტეხელები გოგიტა დათაშვილი, მალხაზ კუმლაძე... სხვები და სხვები, მარად ჭაბუკებად დარჩენილი მოჭიდავე ვაჟკაცები, რომლებიც გარდაიცვალნენ, გარდაისახნენ და გაუკვდავსახელდნენ წიგნებად, ბიუსტებად, ვარსკვლავებად, საჭიდაო არენებად, ტურნირებად...

არც მათ უწერიათ დავიწყება და არც გიორგი-კაიყმას – გიორგი (გორკა) მერებაშვილს. ის ახსოვთ მშობლიურ კასპში, ახსოვთ სამეგობრო წრეში, მოჭიდავეებმა კი უფრო წონადი, უფრო სხვანაირი მეგობრობა იციან, რაღაცნაირად უფრო ძმური – უფრო მტკიცე – ანუ სამარადხანო, უფრო უღალატო – ანუ ისეთი, მათ ფიცვერცხლნაჭმობას დიდების შარავანდს რომ ადგამს.

გიორგი 1980 წელს დაიბადა და განგებამ ოდენ საუკუნის მეოთხედი, ე. ი. 25 წელი, ამყოფა მზის საუფლოზე.

კასპური ძირძველი გვარის – მერებაშვილის – ერთი შტოს, გორდიაანთა, შთამომავალმა, სამამულე რქამ, საჭიდაო დიდ გზაზე ახალშემდგარმა, საქართველოს რამდენიმეგზის ჩემპიონობა მოასწრო და საერთაშორისო მასშტაბის შეჯიბრებებსაც მოუსინჯა ღონი, მსოფლიო პირველობაზე ორჯერ მიადგა პრიზიორთა სამეულის კვარცხლბეკს, მალე გამოცდილებაც შეემატებოდა და ნანატრი გამარჯვებაცა და ჩემპიონობაც მოვიდოდა, მაგრამ მისი ოცნება აუხდენელი დარჩა. არა, ოცნება არ კლავს, ოცნებაში კვდება თურმე კაიყმა...

გიო-ბიჭი 17 წლისა იყო, მისი პაპა, გიორგი მერებაშვილი, 1997 წელს რომ გარდაიცვალა 75 წლის ასაკში. ეს კაცი ქერჩის საზღვაო ბრძოლაში ტყვედ ჩავარდა და გერმანელების ხელში საფრანგეთის ტყვეთა ბანაკში ეწამა. ტყვეობაგამოვლილი, როგორ თუ საქართველოში დაბრუნება გაბედეო, ახლა ყაზახეთში გადაასახლეს ოჯახიან-წულიანად. ასე რომ, ცხოვრებაში იმდენი ვაება ენახა და გადაეტანა, თანაქალაქელებმა სულაც "გორკად" მონათლეს. აქედან იყო, რომ პაპის თიკუნი ("კლიჩკას" რომ ვეძახით) გახდა კიდეც შვილიშვილის თილისმატვირთი და მანაც, თავისი ნაადრევი საიმსოფელო წასვლით, უზომო სიმწრითა და ტკივილით დაამწუხრა მშობლები, ცოლშვილი, ახლობლები, მეგობრები... არა, უფროს გორდიაანთა გიორგის არ უჭიდავია, მაგრამ უმცროსი ჭიდაობის ტრფიალითა და მარჯვეხერხიანობით პაპის ძმას, ილიას, გამოემსგავსა, ანუ გორდიაანთა წინაპრებს, პეპერებს... 2001 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია. მრავალმხრივი სპორტული მონაცემების სპორტსმენი სწავლობდა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აკადემიის მესამე კურსზე...

ოჯახში სასოებით ინახავენ მკლავჭიდში მოპოვებულ სამახსოვრო თასს, თავისუფალ ჭიდაობაში გახდა საქართველოს პრიზიორი, საუბნო გუნდების შემადგენლობაში რაიონის პირველობაზე უთამაშია მინიფეხბურთი...

1996 წელს ქართველ ძიუდოისტთა ჯგუფს მიენიჭა სერტიფიკატები, მათ შორის იყო გიორგიც. ამ საბუთს ამშვენებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის ხელმოწერა... სამბოში მისი მწვრთნელები იყვნენ: ლავრენტი კაციაშვილი, გიორგი ბეინაშვილი და ოლეგ იაძე.

... კასპის ძველ უბანში, კვირაცხოვლის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, მოწყობილ "გორკასეულ" საჭიდაო არენაზე წინა წლებში იჭიდავა სადღეისოდ საქართველოში საყოველთაოდ ცნობილმა არაერთმა ჩემპიონმა და ფალავანმა (პაპინაშვილმა, ღვინიაშვილმა, მამულაშვილმა, ოდოშაშვილმა...).

წლევანდელი ცხელი ივლისის ბოლოს გაიმართა მერვე, ტრადიციული, რესპუბლიკური ტურნირი, სადაც იასპარეზეს თბილისის, შიდა ქართლის და კახეთის რეგიონების წარმომადგენლებმა ხუთ წონით კატეგორიაში და მათ შორისაც იყვნენ ტიტულოვანი მოჭიდავეები, რომელთაც საკუთარი რეპუტაცია ახალი გამარჯვებებით განიმტკიცეს (იხილეთ ჩემპიონთა და პრიზიორთა გვარები).

ნიშანდობლივია, რომ გიორგი მერებაშვილის სახელობის საქალაქო არენა საგანგებოდ განახლდა და კეთილმოეწყო (სარემონტო სამუშაოებისათვის სახსრები ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო, ხოლო საკეთილო საქმისათვის გაისარჯა შ.პ.ს. "ფუძის" შრომითი კოლექტივი, რომლის ხელმძღვანელია ზურაბ ქვრივიშვილი).

განახლებული ღია არენის ხილვით მოიხიბლა და კმაყოფილება გამოთქვა არაერთმა სტუმარმა, სპეციალისტმა, მონაწილემ, გულშემატკივარმა... კარგი იქნება, თუ მას სათანადო ფირნიშიც გაუკეთდება... და, კიდევ ერთი: მარტივი ტიპის საჭიდაო არენები კასპის სხვა უბნებშიც აუცილებელია. ამჯერად კი "ახალი განთიადი" წარმოგიდგენთ გიორგი (გორკა) მერებაშვილის დაბადებიდან 35-ე წლისთავისა და მისი სახელობის განახლებული საჭიდაო არენის გახსნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირის ჩემპიონთა და პრიზიორთა საპატიო კვარცხლბეკოსანთა სიას:

62 კგ.: I ადგილი – რამაზ გუგულაშვილი (კასპი), II ადგილი – ალეკო ქვრივიშვილი (კასპი), III ადგილი – გიორგი ბროლაშვილი (თბილისი);

68 კგ.: I ადგილი – ვანო თოთლაძე (გორი), II ადგილი – ტრისტან ფეიქრიშვილი (კასპი), III ადგილი – გიგა ბერიაშვილი (კასპი);

75 კგ.: I ადგილი – გიორგი მათიაშვილი (კასპი), II ადგილი – გიორგი კანკავა (კასპი), III ადგილი – დავით კოპაძე (გორი);

85 კგ.: I ადგილი – კახა მამულაშვილი (კასპი), II ადგილი – გიორგი პაპუნაშვილი (გორი), III ადგილი – შოთა ოქროპირიძე (გორი);

+85 კგ.: I ადგილი – ბექა ბერძენიშვილი (კასპი), II ადგილი – გიორგი ნოზაძე (ხაშური), III ადგილი – იესო კვირიკაშვილი (გორი).

ამირან ტალახაძე.

,,ახალი განთიადი,, იძიებს ანონიმურად ადგილობრივ ამბებს ჩვენთან ან ელფოსტა-მასალებად შეგიძლიათ. თხოვნით მივმართავთ თანამოქალაქეებს - ფოტოებით თქვენი ყველა ჩვენს მასალაში! გამოგვიგზავნეთ ანონიმურად და ანახლოებთ ფოტოებს!

მკითხველს შეუძლია მოგვანოდოს ყველაფერი კროსვორდები, შემეცნებით-გასართობი მასალები. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მოგვმართოს მისამართზე – კასპი, ყაზაკის ქ. 68. ან დარეკოს ტელეფონზე: 03712 22576.

გამოიწერეთ, იკითხეთ გაზეთი "ახალი განთიადი"!

მალდივის კუნძულებზე დასვენებისას გაგიჩნდებათ განცდა, თითქოს მანამდე არსად ყოფილხართ და არაფერი გინახავთ.

ინდოეთის ოკეანეში, შრი-ლანკას სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, დაახლოებით ეკვატორზე, მდებარეობს მალდივის რესპუბლიკა, რომელიც 1190 მარჯნის კუნძულს მოიცავს. მათი დიდი ნაწილი ჯერ კიდევ აუთვისებელია.

ლეგენდის თანახმად, მალდივებზე შემთხვევით მოხვედრილმა მუსულმანმა მოგზაურმა მთელი სოფელი საშინელი ზღვის დრაკონისაგან იხსნა. იგი ლამაზ გოგონებს იტაცებდა და ჭამდა. მოგზაურმა ყურანის ხმამაღლა კითხვით შეძლო დრაკონის დამარცხება. XII ს-ში აქ ისლამი მიიღეს.

ამჟამად, 202 დასახლებული კუნძულიდან 88-ზე შესანიშნავი სასტუმროებია გაშენებული. დედაქალაქი მალე ყველაზე პატარა კუნძულ-დედაქალაქია მსოფლიოში. აეროპორტში, რომელიც ასევე ცალკე კუნძულს წარმოადგენს, დაფრენისას, ილუმინატორს ვერ მოწყდები. გეგონება, სარეკლამო ბუკლეტს დასცქერი: მარჯნის რიფები იკრებიან მრგვალ კუნძულებად ატოლებად და მიმოფანტულნი არიან არაბუნებრივად გამჭირვალე, მომწვანო-მოლურჯო წყალში, რომელიც ათასგვარ ფერთა გამაში გადადის. ოკეანე იმდენად ახლოსაა ასაფრენ ბილიკთან, რომ მგზავრები ტრაპის მოლოდინში უკვე ასწრებენ დაათვალიერონ თევზების ცოცხალი ქარავანი ოკეანის წყალში. თვითმფრინავიდან ჩამოსულთ ეგებებიან გიდები, ტუროპერატორები, მაგრამ არა ავტობუსებით და ტაქსებით, არამედ ადგილობრივი ნავებით—დონებით, კატერებით, ჰიდროპლანებით, რომელთა საშუალებით დამსვენებლები ხმელეთიდან ხმელეთზე გადაჰყავთ.

ყველა სასტუმრო ცალკეული კუნძულია. თუკი ტაილანდში სამეფო ოჯახები უსაფრთხოების გამო, განზრახ იკავებენ ერთ მათგანს, მალდივებზე ეს ბუნებრივად ხდება, რადგან სხვანაირად შეუძლებელია. სრულ სიმშვიდესა და საოცარ კომფორტში ანთია ფერადი სანთლები, თეთრეული ყოველთვის სუფთაა, ლარნაკებში ახალი ორქიდეებია, ისე, რომ მომსახურე პერსონალი არსად ჩანს. აქ შემთხვევით არ ატარებენ თაფლობისთვეს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან და იაპონიიდან ჩამოსული ახალდაქორწინებულები.

"შენს საკუთარ კუნძულზე" ბევრი გასართობის მიუხედავად, თავს "რობინზონად" გრძნობ, დამსვენებლებს მხოლოდ სხვა ხმელეთზე თუ შეხვდები რესტორანში ან შვედურ მაგიდასთან.

საშუალო კუნძული იმხელაა, რომ თხუთმეტ წუთში ფეხით მოივლი. სასტუმროებსა და ბუნგალოებში ტელევიზორი, კონდიციონერი და ინტერნეტია, ტერასებზე სავარძლები და მაგიდები, საიდანაც გადიხარ საკუთარ პლაჟზე. ქვიშა შაქრის ფხვნილს ჰგავს. პალმების ქვეშ გაშლილია მოხერხებული შეზლონგი. შემდეგი ნაბიჯით უკვე არარეალურ, ფანტასტიკურ ოკეანეში ხარ თბილი, კაშკაშა-ფირუზისფერი წყალი, ულამაზესი ნიჟარები.

ბუნგალოები ორი ტიპისაა ხმელეთის და წყლის. პირველი მათგანიდან, ანუ "სანაპიროს ნომრებიდან" მანგოსა და პალმების მწკრივით დამშვენებული "საკუთარი" ბილიკით ოკეანეში ჩახვალ. პირდაპირ წყალში, ბოძებზე მდგარი ნომრიდან კი, პატარა კიბით ასევე ოკეანეში აღმოჩნდები. წყლის ბუნგალოებს ერთმანეთთან მოკლე ხიდები აკავშირებს. აქ სწრაფად ვერ გაივლი, ხიდის ქვეშ ულამაზესი თევზები დაცურავენ.

საღამო იშვიათი სილამაზისაა. აქ ნახევარმთვარეს რკალი ზემოთ აქვს მიმართული. ცაზე იმდენი ვარსკვლავია, რომ თავი დიდ ობსერვატორიაში გეგონება. სავსე მთვარის პერიოდი თეთრ ღამეს გავს, ამ დროს პალმების ჩრდილით ისეა მოფენილი ქვიშიანი სანაპირო, როგორც მზიან დღეს.

მალდივის ნამდვილი სიმდიდრე წყალქვეშა სამყაროა. წყალში ჩაიხედავთ და დაინახავთ მშვენიერებას მარჯნის ხვეულებით, ბაღებით და სასახლეებით, საუცხოო თევზებით. ისინი გუნდებად დაქრიან, თითქოს "დაჭერობანას" თამაშობენ და ფერთა სიმრავლით პეპელებს არ ჩამოუვარდებიან.

კუნძულებზე იდეალური პირობებია დაივინგის და სნორკლინგისთვის. ყველა სასტუმროშია დაივინგცენტრი, სადაც ახალბედებსაც ასწავლიან. დაივინგის მოწყობილობებს ადგილზეც აქირავებენ, მაგრამ 20 §-ზე იაფი არ ღირს.

სპა-ცენტრში სასიამოვნო პროცედურების დაახლოებით 60 სახეობას გთავაზობენ. წევხარ ნახევრად სიბნელეში, არომატულ ზეთებში, ქვემოთ თევზები და მარჯნები მოჩანს, მედიტაციური მუსიკის ქვეშ მასაჟს გიკეთებენ პროფესიონალი გოგონები. თითქოს ძვლებიანად გშლიან, მერე გაწყობენ და ახლადდაბადებულივით დგები.

ბალი-მასაჟი, მალდივური ზეთები, ინდური აიურვედა, შვედური რეფლექსოთერაპია - ყველა შემთხვევაში ისეთ სიმსუბუქეს განიცდი, თითქოს დაფრინავ... (ცნობისათვის: ტანის მასაჟი—65, სახის—40, აიურვედა—110, ტანის პილინგი ახალი პაპაიათი—30 დოლარი ღირს.)

ისლამური აღმსარებლობის გამო, გოგონა, ვინც ჭიპს გამოაჩენს, ასი დოლარით ჯარიმდება. არ გირჩევთ წაიღოთ ალკოჰოლური სასმელი, რადგან საბაჟოზე ჩამოგართმევენ და მხოლოდ უკანა გზაზე დაგიბრუნებენ. ალკოჰოლი იყიდება სასტუმროებში და ერთი ბოთლი წითელი ღვინო - 25 § ღირს. შეგიძლიათ არ დაიტვირთოთ ძვირფასი ტანსაცმლით, რადგან ჩაცმის სტილი ფეშენებელურ სასტუმროშიც ჩვეულებრივია.

აუცილებლად უნდა გქონდეთ მზისგან დამცავი კრემი, თეთრი ქვიშა იმდენად ირეკლავს სხივებს, რომ სიარულის დროსაც თავიდან ფეხებამდე დაიწვები. მარჯნის ქვიშებზე, ფეხი რომ არ გაიჭრათ, რეზინის ქოშები დაგჭირდებათ.

ვისაც არ სურს სულ წყალში ყოფნა, მათთვისაა სპორტდარბაზები, კორტები, საუნა, აუზი, კარაოკე, დისკოთეკა, სახალისო შეჯიბრებანი. შეგიძლიათ ჩაეწეროთ იოგაზე, ტაიჩიზე, ან უშუზე.

მალდივური სახელმწიფო ენა - დივეჰი, ადგილობრივი მოსახლეობის გარდა არავის ესმის. თუმცა, ინგლისური ყველამ იცის და სკოლებშიც ძირითადი საგნები ინგლისურად ისწავლება.

რიგ სასტუმროებში ბავშვების გართობასა და უსაფრთხოებაზე ზრუნავენ, ზოგიერთი მათგანი კი ტურისტებს აფრთხილებს, ბავშვები თან არ იახლონ.

შეგიძლიათ აირჩიოთ როგორც ტრადიციული—მალდივური, ასევე ევროპული ან აღმოსავლური სამზარეულო, იტალიური, ფრანგული და ავსტრალიური ღვინო.

მიირთვით არაჩვეულებრივი ტკბილეული, გირჩევთ გასინჯოთ ბონდი-ქოქოსის ღვეზელი და ტკბილი რძე.

გასართობ პროგრამაში შედის გასტრონომიული დღესასწაულები, ვახშამი ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ, ბარბექიუ ოკეანის სანაპიროზე. ნუ წახვალთ საყიდლებზე. აქ მხოლოდ ინდოეთიდან, შრი-ლანკიდან, ჩინეთიდან ჩამოტანილი სუვენირები იყიდება.

საუკეთესო სასტუმროებია: როიალ ისლანდი, (შესანიშნავი სამზარეულო რესპექტაბელური, წყნარი დასვენება), არადის ისლანდი (დედაქალაქთან ახლოს, ფასები და ხარისხი ოპტიმალური, საუკეთესო სპა და შესანიშნავი დაივინგ- ცენტრი - რუსი ინსტრუქტორებით),სუნ ისლანდი (-დიდი კუნძული რამდენიმე რესტორნით, დისკოტეკები და ბევრი გასართობი, აქტიური დასვენება),

თუ მოისურვებთ, ერთი საათით ოკეანეში გასვლას და მზის ჩასვლის ყურებას ტეკილით ხელში, 25 დოლარი დაგიჯდებათ, საღამოს კატერით თევზაობა 33, დილის 5 საათზე—50, ოკეანეში დიდი თევზის დაჭერა კი (ორ კაცზე)—350 დოლარი.

მალდიველებით დასახლებულ ან აუთვისებელ კუნძულებზე მთელი დღით ყოფნა, ბანაობა, გარუჯვა, ბარბექიუს მოწყობა 70 დოლარი ღირს.

მალდიველები სტუმრებს ელიან წელიწადის ყველა დროს, რადგან წყლისა და ჰაერის ტემპერატურა თითქმის სულ +27 გრადუსია.

ასე, რომ ვუსურვოთ ჩვენს თავს დასვენება მალდივებზე საკუთარ კუნძულზე, ფერადი თევზებით "მოჭედილ" ზურმუხტისფერ ზღვაზე.

შ.პ.ს. "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია" კასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიას

შ.პ.ს. "ჰაიდელბერგცემენტჯორჯიას" ჯასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიას შემდეგ თანამდებობაზე:

1. ელექტროშემკეთებელი.

გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი ხელზიუმე ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში ა/წლის 23 აგვისტოს ჩათვლით შემდეგ მისამართზე:

ქ. კასპი, ფარნავაზის ქ.№2.

E-mail:maia.Kaciashvili@heidelbergcement.ge

მადლობა!

ულრმეს მადლობას მოვახსენებთ კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელს გოჩა გოჩიტაშვილს და მის მოადგილეს ჯამბოლატ ქამხაძეს ქალაქ კასპში გიორგი (გორკა) მერებაშვილის სახელობის ღია საჭიდაო არენის მოწყობისათვის და ადრე გარდაცვლილი სპორტსმენის ხსოვნის უკვდავყოფისათვის.

გიორგი (გორკა) მერებაშვილის ოჯახი

გილოცავთ

უერთგულეს, სათნო ქალბატონს, ოჯახის მოსიყვარულე დედას ლამარა (ივლიტა) კახიანს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ მხნეობას, ჯანმრთელ სიცოცხლეს საყვარელ ოჯახთან ერთად.

ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძრის მოძღვარი მამა გიორგი თავისი მრევლით.

ფოტო-მატიანე

გვიხილით ცვლილებული ცოცხალი

ბავშვობაში წასაკითხი „ოქროსფერი ფრჩხილები„ მიელი ცხოვრება ვლოცულობდი მოგონებებს, იქნებ დამცხოს ოქროსფერ იყვავებად ვლგილან ოჯახს „ოქრო ფონდში„ თავობილან თაობა გვლიდენ ლა ყველა შინაფერილობაც მთავარი ცვლილებ ლა გვიხილეთ ცვლილებული ბავშვობა წუთები ჩვენს რუბრიკაში „მეკნეტუნა„ ლა გვიხილეთ ცვლილებული ცოცხალი.

„ვიხილოთ გვნიანლი„ იძიებს ცვინდერრიგლო ცოფრსთიებს რესიონის ცვგვბეთთ ფოფლ-მეფიანის შეცვალნელლა. თხოვნით მიგმეფრთვეთ თანხრესიონელებს - ლეფლოვეთ თქვენი ყველა ჩვენს მეფიანიში! გამოგვიგზავნეთ ცვინდერრიგლ ლა ცვხვლიცლ ფოფლები!

მოიხსენე, უფალო, სული პირველ გარდაცვალებულთა მშობელთა, ძმათა და დათა ჩვენთა და ყოველთა ხორციელთა ნათესავთა ჩვენთა და შეუნდეენ ყოველნი ცოდვანი მათნი ნებსითნი და უნებლიეთნი, და მიანიჭე მათ სასუფეველი ცათა და მკვიდრჰყენენ იგინი საუკუნეთა კეთილთა შენთა და რჩეულთა შენთა ნმიდათა თანა.

ხსოვნა

გივი დალაქიშვილი

ჩემო საყვარელო პაპიკო, ორმოცი დღე გავიდა უშენოდ. ძალიან მომენატრე. ყოველ დილით შევდივარ უკვე უშენო შენს ოთახში და სანთელს ვანთებ - ნათელში იყოს შენი სული.

მე და შენ დაბადების დღეც კი ერთი გვქონდა! როგორ გიხაროდა ექვსი თებერვალი ჩემთან ერთად! პაპიკო, ბუნების სიყვარულს მასწავლიდი, მიხსნიდი, რომ საქართველო მიწისა და ვაზის ქვეყანაა, ერთად დავდიოდით ვენახში... შენს ნასათუთევ ვაზს ახლა ჩვენ მოვუვლით, ყურძენს დავკრეფთ და ისეთ ღვინოს დავაყენებთ, შენ რომ ყოველთვის გეამაყებოდა. აკი აპირებდი კიდეც ჩემთვის ვენახის გაშენებას და შენს უკანასკნელ სურვილადაც ეს დაგვიტოვე - ვაზს ვუპატრონოთ და ჩემი ვენახი დავასრულოთ.

ჩემო პაპიკო, როდესაც კასპის ქუჩებში მასეირნებდი, ცხენიანი კაცის ძეგლთან, შენს მოვლილ და ნაფერებ სკვერს დამანახვებდი ხოლმე, როგორ გიხაროდა ვარდნარიანი სკვერი...

მეუბნებიან - გონიერებით, შრომისმოყვარეობით და პატიოსნებით გამორჩეული პაპა გყავდაო, ეს სიტყვები შენი დარიგებებიდან მახსოვს. მე უკვე დიდი ბიჭი ვარ და სულ მემახსოვრება შენი თბილი გული და გამრჯე ხელები.

უკვე ძალიან მენატრები, მაგრამ შენ თურმე ზეციდან მიყურებ და მე ვიცი, რომ შენი და სამშობლოს გასახარად, კარგი ქართველი უნდა გავიზარდო! ეხლა კი უფალს ვევედრებით, მეც და შენი ოჯახიც, სამუდამო სასუფევლის კარი გაგიღოს და დაგიამოს ყველა ტკივილი!

მიყვარხარ!

ნიკუშა დარსაძე.

ავთანდილ მოდრეკილაძე



რა უცებ წავიდა, სამუდამოდ დაგვტოვა... მონატრებაზე გაუსაძლისი და სიკვდილზე შემზარავი არაფერი ყოფილა. ძნელია მასზე წარსულში ლაპარაკი, მაგრამ რა ვქნათ, ახლა მხოლოდ მოგონებებით ვიქარვებთ გულს. ფიზიკურად წარმოსადეგი, სულიერად მშვენიერი, სხვებზე მზრუნველი, მოყვასისათვის რომ არაფერს იშურებდა კავთურისხეობელი ავთანდილ მოდრეკილაძე ყველას დააკლდა. მთელი კავთისხევი გლოვობდა... პედაგოგების ოჯახში დაბადებულ-აღზრდილი, მუსიკაზე უსაზღვროდ შეყვარებული ხელოვანი წლების განმავლობაში იღვწოდა ქართული ფოლკლორის განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის. სწორედ ავთანდილ მოდრეკილაძის ინიციატივითა და ძალისხმევით ჩამოყალიბდა კავთისხევში ხალხურ საკრავთა ანსამბლი "კავთურა", რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული მრავალი წარმატება, დიახ, მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადის ოქროს მედალოსანი "კავთურა" ანშლაგით გამოდიოდა არა მხოლოდ რაიონის, რესპუბლიკის ბევრ ქალაქში გამართულ ფოლკლორულ ფესტივალებსა და კონცერტებზე, საზეიმო წაულო, სამთავრობო ღონისძიებებზე. დიდი მცდელობისა და შრომის ფასად ქალაქ თბილისში, უსინათლოთა სკოლა-ინტერნატში ჩამოყალიბა ხალხურ საკრავთა ანსამბლი "იმედი" და გიტარისტთა ჯგუფი "სხივი," რომელთა მთავარი დასაყრდენი ძალა თვითონ იყო.

თბილი, სიკეთითა და ერთგულებით სავსე ადამიანის სახელით იცხოვრა, რაც დრო გადის, უფრო და უფრო მტკივნეული ხდება მის გარეშე ყოფნა ოჯახისა და ახლობლებისათვის, მისი აღზრდილებისა და მეგობრებისათვის.

დაე, მისთვის დანთებულმა სანთლებმა გზა გაუნათონ ცათა სასუფეველში.

ნანა შალიტაური.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ამავე გაერთიანების სპეციალისტს იზაბელა კობიაშვილს დის

ნანული კობიაშვილის გარდაცვალების გამო.

საქციო საზოგადოება „კასპიელექტროაპარატი„ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ გაიოზ გაბიევს მეუღლის, ზაირა გაბიევს დედის, ზინა კაძილაშვილს დის

ოლია კაძილაშვილი-გაბიევის გარდაცვალების გამო.

რუბრიკა - "წელიწადის მეხუთე დრო"

ელოდება თქვენს გამოხმაურებას. მიბრძანდით რედაქციაში, წარმოადგინეთ თქვენი ნამუშევრები (ელექტრონული ვერსია) და გაიცანით ისინი საზოგადოებას.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში„

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი სააკაძის ქ. № 68

ტელეფონი 22-25-76